ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №44

4 ოქტომბერი 2024 წელი

14:00 საათი

ა/წ 4 ოქტომბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. შალვა ოგბაიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ნათია მოდებაძე;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე.

სხდომის დღის წესრიგი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ანგარიში

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს გააცნო ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმპომადგენელს ნინო ლომინაძეს, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ქარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 9 თვის ანგარიში.

ქ.თბილისის ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (06 01)

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: დაავადებათა სკრინინგი (პროგრამული კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პრეკანცერული პათოლოგიებისა და სიმსივნის ნაადრევ სტადიაზე გამოვლენა ხელს უწყობს ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის ამაღლებასა და პაციენტთა სიცოცხლის გახანგრძლივებას. ამიტომ კიბოს გამოვლენის მიზნით ჩატარებული სკრინინგული კვლევები მნიშვნელოვნად შეამცირებს ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეულ სიკვდილობას. აღნიშნულის გათვალისწინებით ქვეპროგრამის ფარგლებში სამიზნე პოპულაციაში სრული დაფინანსებით ხორციელდება: ძუძუს კიბოს სკრინინგი, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, კოლორექტული კიბოს სკრინინგი, პროსტატის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევები, ოპორტუნისტული და ორგანიზებული მოდელით. პროგრამის მიზანია სამიზნე პოპულაციაში კიბოს ადრეული გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდის გზით, კიბოთი გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 02	დაავადებათა სკრინინგი	1 999.5	1 999.4	100%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, ქ. თბილისში რეგისტრირებულ საქართველოს მოქალაქეებს (მ.შ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) უტარდებათ შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები:

- ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში;
- საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში;
- პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში;
- კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის;
- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოკვლევები 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების მიზნით ტარდება სხვადასხვა სახის კვლევები:

ძუძუს კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს:

- მამოგრაფიულ გამოკვლევას, 2 პროექციაში (2 რადიოლოგის მიერ ერთმანეთის დამოუკიდებლად წაკითხვით); საჭიროების შემთხვევაში, კონსესუს კონფერენცია, რომელსაც უძღვება შემთხვევის ლიდერი მე-3 რადიოლოგი.
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას და ძუძუს ფიზიკალურ გასინჯვას;
- საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას.

საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს:

- გინეკოლოგის კონსულტაციას და პაპ–ტესტის (PAP–ტესტი) ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით;
- გინეკოლოგის კონსულტაციას და HPV დნმ–ის განსაზღვრის ტესტის ჩატარებას სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგიის საფუძველზე;
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლპოსკოპიურ სკრინინგს;
- საჭიროების შემთხვევაში, კოლპოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.

პროსტატის კიბოს მართვა:

- სისხლში პროსტატის კიბოს ანტიგენის გამოკვლევა.

კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, რომელიც მოიცავს:

- ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას;
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლონოსკოპიას;
- საჭიროების შემთხვევაში, კოლონოსკოპიისას ბიოფსიური მასალის აღებას და ჰისტოლოგიურ კვლევას.
-

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა, რომელიც მოიცავს:

- ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;
- პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;
- საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და ციტოლოგიურ კვლევას;
- ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობას ენდოკრინოლოგის მიერ.
-

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა გულისხმობს გადამდებ დაავადებათა პრევენციას, გადამდებ დაავადებებათა აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის განხორციელებას, მოსახლეობის იმუნოპროფილაქტიკის ორგანიზების ხელშეწყობისა და მონიტორინგისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობას და ანტირაბიული სამედიცინო დახმარების მიწოდების ხელშეწყობას, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომიური ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის რეკომენდაციების მიწოდებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებას. გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენა, ეპიდკერებში დროული და ადექვატური პროფილაქტიკური ღონისძიებების ორგანიზება-გატარება უზრუნველყოფს დაავადებებზე ეპიდსიტუაციის კონტროლს, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. პროგრამის მიზანია ქ. თბილისში ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გაუმჯობესება.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 03	გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა	529.0	519.9	98.3%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

- გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა;
- ინფექციების გავრცელების შეზღუდვის ღონისძიებების განხორციელება;
- დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია-დეზინსექცია;
- იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა;
- სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2024 წლის იანვარ - ივნისის აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობის შედეგად საანგარიშო პერიოდში აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა.

დასრულდა 2023-2024 წლის გრიპის სეზონი (20 მაისამდე). 01.01.2024- 30.06.2024 პერიოდში დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსგავსი დაავადებების **ამბულატორიული** ვიზიტების 864 884 შემთხვევა, მ.შ. მწვავე რესპირატორული ინფექცია (ILI) - 75 293; **ჰოსპიტალიზაციის** შემთხვევების რაოდენობა სულ 66 257, მ.შ. მწვავე რესპირატორული ინფექციის ჰოსპიტალური (SARI) – 4 587 შემთხვევა.

2024 წლის 9 თვის განმავლობაში მუნიციპალური ცენტრის მიერ განხორციელდა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, კერებში - ეპიდკვლევა, ეპიდსაწინააღმდეგო

ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ანგარიშგება დზეი-ისა და ელექტრონული მოდულის მიხედვით და ასევე ვაქცინების მიღება (დკსჯეც-იდან), შენახვა და გაცემა იტრამუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებში.

ასევე, ტარდებოდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები, მათთვის საჭირო ანტირაბიული სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ვაქცინებისა და იმუნოგლობულინის განაწილება ანტირაბიულ კაბინეტებში.

მგბ+ ავადმყოფებთან ეპიდანამნეზით დადგინდა კონტაქტში მყოფი სავარაუდო ინფიცირებული პირები და ცენტრმა განახორციელა მათი მიმართვა ფტიზიატრიულ სამსახურში. ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა ტუბერკულოზით დაავადებულ ეგრეთწოდებულ ინდექს პაციენტებისა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა ელექტრონული აღრიცხვა-შეტყობინება-შესწავლის თვალსაზრისით, ონლაინ ფლატფორმის საშუალებით. ასევე, ოფიციალურად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარიმართა ტუბერკულიოზით დააავადებულ ყოფილ პატიმრებში ეპიდგამოკვლევა, მკურნალობაზე ცუდი დამყოლისა და რეიზისტენტული შტამით დაავადებულ პაციენტთა ეპიდზედამხედვლეობა;

განხორციელდა ანგარიშგება ვაქცინისა და სხვა სახარჯი მასალის ინვენტარიზაციის შესახებ. ანგარიშგება ხორციელდება დკსჯეც-ში. COVID-19 დინამიკაში შემცირებულია.

იანვარში პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ ყველა დაწესებულებაში განაწილდა სახარჯი მასალა კონტრაანტიგენტესტირებისთვის. შესაბამისი ბრძანებისა და პროტოკოლის მოთხოვნით, გრძელდება სწრაფი კოვიდანტიგენ ტესტირება. სარეკომენდაციო მოთხოვნების შესაბამისად, ცენტრში იგზავნება ყოველკვირეული ანგარიშგება აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე დაწესებულებიდან, დანართი N5 მიხედვით, რომელიც მიეწოდება დსჯეც-ს. იანვარში პროტოკოლის მიხედვით შემოწმდა 32 სილამაზის სალონი, ხოლო თებერვალში 35 და საჯარიმო ოქმი არ შემდგარა.

იანვრის თვიდან დაიწყო წითელას შემთხვევების მატება, რომელმაც იანვარში 40-ს, ხოლო თებერვალში 43-ს მიაღწია, შემთხვევების 99% დაფიქსირდა მაღალ (20-52წ) ასაკში. მხოლოდ ერთეული შემთხვევაა 0-2 წლამდე ასაკში. წარმოებს კერის თითოეული შემთხვევის შესწავლა, კონტაქტების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში მათი სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვა აცრების ჩასატარებლად. მონიტორინგი ჩატარდა სამედიცინო დაწესებულებებში წითელას საწინააღმდეგო აცრების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით 5 წლის ასაკში, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო წერილები გაიგზავნა სკოლის რესურს ცენტრებში, განათლების სამინისტროში, საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოში და თავად დაწესებულებებში.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა სახსრების ართრიტით დაავადებულ პირთა რაოდენობამ და შესაბამისად, გაიზარდა მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების ოპერაციების რაოდენობამ. პროგრამა გულისხმობს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე პირებისათვის ოპერაციის დაფინანსებას. პროგრამის მიზანია სახსრების ართრიტის მქონე ბენეფიციარებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირებას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 04	სახსრების ენდოპროთეზირება	2 141.3	1 983.1	92.6%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 339 ბენეფიციარი 1 983 122.85 ლარით.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: გაფანტული სკლეროზი ქრონიკული, პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადებაა და მსოფლიოში დაახლოებით 2.3 მილიონი ადამიანია დაავადებული ამ პათოლოგიით. პირველი სიმპტომები უპირატესად 20-დან 40 წლის ასაკის პერიოდში ვლინდება და ამიტომაც გაფანტული სკლეროზი არატრავმული უნარშეზღუდულობის ძირითადი მიზეზია ახალგაზრდა ასაკის პაციენტებში. პროგრამა გულისხმობს გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტების - ოკრელიზუმაბის, ფინგოლიმოდის, მკურნალობის კურსის დაფინანსებას. ქვეპროგრამის მოსარგებლეებისათვის ასევე განხორციელდება მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფიის (ქიმიური აგენტების გამოყენებით) დაფინანსება. პროგრამის მიზანია გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის და მონიტორინგის კვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 05	გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსება	3 089.4	3 061.9	99,1%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) „ოკრელიზუმაბი" - საწყისი დოზა 600 მგ შეყვანილ უნდა იქნას ორ ინფუზიად: 300 მგ - პირველ დღეს, 300 მგ - ორი კვირის შემდეგ, შემდგომი ინფუზიები ყოველ 6 თვეში ერთხელ დოზით - 600 მგ;

ბ) „ფინგოლიმოდი" – 0,5 მგ ერთი აბი ერთხელ დღეში.

გ) „თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით"

დ) „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით"

ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან: გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები:

ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ;

ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში);

გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ბენეფიციარებს მედიკამენტის ღირებულება უფინანსდებათ სრულად (100%-ით) ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნტით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და კვლევების ღირებულებაც უფინანსდებათ სრულად (100%-ით), ამ წესის მე-9 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნტით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით („თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით" ფინანსდება 350 ლარით, ხოლო „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით" - 425 ლარით).

სულ ჯამში აღნიშნული ქვეპროგრამით გადარიცხულია 3 061 864 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 06)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა გულისხმობს მიმწოდებლის მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითარების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რაც მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს, 20 ინდივიდუალური სეანსის დაფინანსებას, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად

(მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა). პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში მოქმედი რეგისტრაციის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებსაც ძირითად დიაგნოზად გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0; F84.9) ჯგუფის დიაგნოზი. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მულტიდისციპლინური გუნდის, ერთიანი საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 (მინიმუმ ერთსაათიანი) ინდივიდუალური სეანსი.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 06	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა	8 407.0	8 042.8	95,7%	

პროგრამით განსაზღვრულ ბენეფიციარებს წარმოადგენენ: დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 და F84.9) ჯგუფის დიაგნოზის მქონე 2-დან 17 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომელთაგან:

ა) იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც უფიქსირდებათ საქართველოს რომელიმე სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, აუცილებელია ჰქონდეთ ბოლო 3 წლის უწყვეტი რეგისტრაცია ქ.თბილისში, ხოლო

ბ) იმ ბენეფიციარებს, რომლებსაც არ უფიქსირდებათ საქართველოს სხვა რომელიმე მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, აუცილებელია დაწესებულებისთვის განცხადებით მიმართვის პერიოდისთვის ჰქონდეს ქ.თბილისში რეგისტრაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება:

მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა).

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებების დაფინანსება:

1. ბაზისური მომსახურება (სტანდარტიზებული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით, თვეში მაქსიმუმ 20 სეანსი), რომელიც მოიცავს:

- თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში:

ა) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 14 სეანსისა;

ბ) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 12 სეანსისა;

გ) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

- ხოლო, თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში:

ა) 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10;

ბ) 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10;

გ) 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

2. არასტანდარტული მომსახურების ფარგლებში, სეანსების ტიპების და რაოდენობის არჩევანი თავისუფალია. მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე, ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით.

სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს;

ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი;

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები (ბაზისურიც და ინდივიდუალური განვითარების გეგმით) ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში არაუმეტეს 450 ლარისა, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სეანსის არჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულებაა ვაუჩერის სრული ღირებულების 70%.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი ან ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით განხორციელებული სეანსი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 07)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ძუძუს კიბო ყველაზე გავრცელებული ავთვისებიანი სიმსივნეა ქალებში. იგი ქალთა 10%-ს უვითარდება სიცოცხლის განმავლობაში. ყოველწლიურად საქართველოში 1200 შემთხვევა რეგისტრირდება. აღსანიშნავია, რომ დაავადების ინციდენტობა მსოფლიოში იზრდება, რაც ზოგადად ონკოლოგიური დაავადებებისათვის დამახასიათებელი ტენდენციაა, თუმცა სკრინინგისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენების შედეგად ძუძუს კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა კლებულობს. რისკის კატეგორიების შეფასების თვალსაზრისით აღსანიშნავია HER2-დადებითი ძუძუს კიბო, ვინაიდან ამ რეცეპტორის ჭარბი ექსპრესია, რომელიც ძუძუს კიბოს ქალთა დაახლოებით 20-25%-ს აღენიშნება ასოცირებულია დაავადების სწრაფ პროგრასირებასთან და სწრაფ პროგრესთან. პროგრამა გულისხმობს ადრეული HER2-დადებითი ძუძუს კიბოს (I-III სტადია) მქონე პირებისათვის ტრასტუზუმაბის, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში - ტრასტუზუმაბის ან პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბის ან ლაპატინიბის ან ფესგოს დაფინანსების უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში მოხდება პაციენტთათვის დანიშნულების შესაბამისად აღნიშნული პრეპარატის საჭირო რაოდენობის დაფინანსება. პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო

2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, რომლებსაც უტარდებათ ნეოადიუვანტურ/ადიუვანტური მკურნალობა. პროგრამის მიზანია ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა და სრულფასოვანი მკურნალობის სრული კურსის ჩატარების უზრუნველყოფა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 07	ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება	3 728.7	3 546.2	95.1%	

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს შემდეგი სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებას:

ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – **ტრასტუზუმაბი**; სიმსივნური კვანძის ≥2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში **პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო;**

ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – **ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო.**

გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში **ლაპატინიბი.**

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ბენეფიციარებს მედიკამენტის ღირებულება უფინანსდებათ სრულად 100%-ით, ამ წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“,„დ“ „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 08)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სიხშირის მიხედვით, ფსიქიკური აშლილობები საკმაოდ გავრცელებულია და უკანასკნელი მონაცემებით მოსახლეობის 9.1%-სა და 16.1% შორის მერყეობს. სიკვდილიანობის მხრივ, ამ მდგომარეობების წვლილი დაავადების ტვირთის წლებში 8.1%-ია. თემში არსებული ფსიქიატრიული დახმარების გუნდი თემზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში უპირველესია. საერთაშორისო კვლევებითაა დამტკიცებული თემზე დაფუძნებული ფსიქიატრიული სერვისების ეფექტურობა. პროგრამა გულისხმობს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სათემო

მომსახურების მიწოდების დაფინანსებას. პროგრამის მოსარგებლეებს წარმოადგენენ ფსიქიკური ან/და ქცევითი აშლილობის მქონე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის მქონე საქართველოს მოქალაქეები. პროგრამის მიზანია ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 08	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება	813.0	663.0	81.6%	

მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში, რომელიც მოიცავს:

- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მულტისისტემური ინტერვენციის განხორციელებას ქვეპროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას, კრიზისული ინტერვენციის ცენტრში და მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ პირის საცხოვრებელ ადგილზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში;
- დღის სტაციონარში გეგმურ ამბულატორიულ კონსულტაციებს;
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ პირის შეფასებას, ინტერვენციის ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას, იმპლემენტაციას და მონიტორინგს;
- ინტერვენციის ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ინდივიდუალური თერაპიების განხორციელებას (სისტემური ოჯახური კრიზისული თერაპია, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია და ბავშვთა და მოზარდთა ასაკს მორგებული სხვადასხვა ფსიქოთერაპიული შეხვედრები (ხელოვნებით თერაპია, თამაშის თერაპია და ა. შ.));
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ფსიქიატრიულ კონსულტაციებს;
- მულტიდისციპლინური გუნდის სოციალური მუშაკის მიერ მოსარგებლის მონიტორინგს ბინაზე ან/და სასწავლო დაწესებულებაში ქვეპროგრამაში ჩართვისას და დასრულებისას

- **აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში, რომელიც მოიცავს:**

- მულტიდისციპლინური მობილური გუნდის მიერ მოსარგებლეთა შეფასებასა და ინდივიდუალური მართვის გეგმის შემუშავებას;
- რეგულარულ ვიზიტებს (არანაკლებ 6 ვიზიტი თვეში) საცხოვრებელ ადგილზე, 24 საათიან სატელეფონო კონსულტაციას;

- მოსარგებლეთა სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგს;
- მოსარგებლისა და ოჯახის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და ფსიქოგანათლებას;
- ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტაციონირების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში პაციენტის სტაციონირების უზრუნველყოფას;
- 24 საათის განმავლობაში სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის წევრის - ექიმი-ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 13)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ძვლის ტვინისა და ღვიძლის ტრანსპლანტაცია შესაბამისი დაავადებების მქონე პაციენტებისათვის ხშირად გადარჩენის უალტერნატივო მეთოდს წარმოადგენს. პროგრამა გულისხმობს ონკოჰემატოლოგიური დიაგნოზის მქონე პირებისათვის მაღალდოზირებული ქიმიოთერაპიის, ტრანსპლანტაციის წინა კვლევების, ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციისა და ტრანსპლანტაციის შემდგომ სტაციონარული მეთვალყურეობის დაფინანსებას და ასევე, ღვიძლის დაავადებების მქონე პირებისათვის ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსებას. პროგრამის მიზანია ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე ბენეფიციარების, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას, ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 01 13	ტრანსპლანტაციის	6 224.5	5 450.9	87.6%	

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ქვეპროგრამაში ჩართვის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას:

- ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები;
- მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის

კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა.

- ღვიძლის ტრანსპლანტაცია.

2024 წლის იანვარი-სექტემბრის თვეებში აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტში ჯამში დაფინანსდა 77 შემთხვევა. ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტში 3 შემთხვევა.

ცხრილი N1. ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხა

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	თანხა
წინასატრანსპლანტაციო კვლევა	42	412 080
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია	35	4 683 409
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	3	355 469
სულ	**80**	**5 450 958**

სოციალური დაცვა (06 02)

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: კომუნალური სუბსიდირება (06 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ მოწოდებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებულ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს და მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული აბონენტის ნომერი, ქ. თბილისის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში მოქცეულია, როგორც სამომხმარებლო სექტორის აბონენტი/მომხმარებლი იანვარში, თებერვალში, მარტში, აპრილში და დეკემბერში დაერიცხებათ სუბსიდია დასუფთავების მოსაკრებელზე, წყლისა და ელექტროენერგიის გადასახადზე. ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა შეადგენს თვეში არაუმეტეს 106 ლარს, ხოლო იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა შეადგენს თვეში არაუმეტეს 20 ლარს. სუბსიდიის ოდენობა და დარიცხვის წესი განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით. გაანგარიშება:

ა) დასუფთავების მოსაკრებელზე;

ა.ა) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი 2,5 ლარის ოდენობით;

ა.ბ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი 5 ლარის ოდენობით;

ა.გ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი 7,5 ლარის ოდენობით;

ა.დ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი 10 ლარის ოდენობით;

ბ) წყლის გადასახადზე 3,89 ლარის ოდენობით;

გ) ელექტროენერგიაზე, აბონენტის მიერ, ფაქტიურად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამისად.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 01	კომუნალური სუბსიდირება	8 002.7	8 002.7	100%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (06 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება სახელმწიფოსათვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. გაეროს ბავშვთა ფონდი მიერ ჩატარებული კვლევების შესაბამისად ბოლო წლებში მცირედ გაზრდილია სიღარიბე ბავშვიან ოჯახებში, აღნიშნული ოჯახების საკმაოდ დიდი ნაწილი ქ.თბილისში მცხოვრები ოჯახებია. აქედან გამომდინარე, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი ამოცანაა მათი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე. ამ მიზნით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზა"-ში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი), 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე განხორციელდება ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაწევა 50 ლარის ოდენობით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 02	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება	9 351.0	9 089.9	97.2%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტოს სოციალური მომსაურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 18 წლამდე ასაკის თითოეულ

ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია: იანვარში 5712 ოჯახს - 19844 ბავშვზე, თებერვალში 5711 ოჯახს - 19875 ბავშვზე, მარტში 5729 ოჯახს - 20006 ბავშვზე. აპრილში 5795 ოჯახს - 20165 ბავშვზე, მაისში 5815 ოჯახს - 20084 ბავშვზე, ივნისში 5804 ოჯახს - 20362 ბავშვზე, ივლისში 5817 ოჯახს - 20 217 ბავშვზე, აგვისტოში 5874 ოჯახს - 20 453 ბავშვზე, სექტემბერში 5926 ოჯახს - 20 791 ბავშვზე,

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა (06 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სრულწლოვანი ასაკის მიღწევის გამო მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდები ხშირ შემთხვევაში რჩებიან საცხოვრისის გარეშე. ახალგაზრდები ვერ ახერხებენ პროფესიის დაუფლებას და დასაქმებას. სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისათვის მომსახურების დაფინანსება არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით. გათვალისწინებულია შემდეგი მომსახურებებით უზრუნველყოფა:

1. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა;
2. საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა;
3. პროფესიულ გადამზადებასა და დასაქმებაში ხელშეწყობა;
4. ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა;
5. ცნობიერების ამაღლება;
6. არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა;
7. პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა. ქვეპროგრამაში პირის ჩართვა ხორციელდება მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ -შუამდგომლობის საფუძველზე. ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს თვეში.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 03	მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა	25.2	12.5	49.6%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ ბენეფიციარებს, რომლთა მომსახურების გაწევისთვის 12 500 ლარი გადაერიცხა ა.ა.ი.პ. ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (06 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: შშმ პირები მუდმივად იმყოფებიან ჩაკეტილ გარემოში, აღნიშნული ბენეფიციარები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ მომსახურებებების უმრავლესობას ღებულობენ ერთ შენობაში, რაც ცუდად აისახება მათ ჯანმრთელობაზე და ქმნის ასევე მათი საზოგადოებისგან იზოლაციის წინაპირობას. შშმ პირების ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ პირებისა და მათი გამყოლებისათვის, საკურორტო მომსახურების მაქსიმუმ 800 ლარის ოდენობით დაფინანსება, მატერიალური სახის ვაუჩერის გაცემის გზით.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკურორტო მომსახურება	1 972.8	1 411.1	71.5%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1 შტატგარეშე მოსამსახურის ხელფასის ანაზღაურება - 16 200 ლარი. სამივლინებო ხარჯები 459.90 ლარი. იურიდიულ საქალაქო სამსახურში გასაჩივრებული შემთხვევების ანაზღაურება - 2 400 ლარი.
ანაზღაურებული იქნა 1 735 საკურორტო ვაუჩერი ჯამში 1 391 995,10 ლარის ოდენობით.

სულ ჯამში: 1 411 055 ლარი

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (06 02 05)
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმული მოქალაქეებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო	საანგარიშო პერიოდის	საკასო შესრულების % პერიოდის	საკუთარი სახსრები

		პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	დან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 05	100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება	61.0	56.0	91.8 %	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

54 მოქალაქის პირად ანგარიშზე ჩარიცხულია 1000 ლარი, როგორც პროგრამის ფარგლებშია განსაზღვრული, მათ შორის ორ ბენეფიციარს ჩაერიცხა წინა წლის თანხაც 1000 ლარის ოდენობით. სულ 54 ბენეფიციარისათვის გადარიცხული თანხა სულ შეადგენს 56 000 ლარს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (06 02 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის მოზარდების დამატებითი განათლების ხელშეწყობა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავება. განხორციელდება „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში“ და "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში" კონკრეტულ წრეებზე სწავლების ღირებულების ანაზღაურება, მათ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება (ა)აიპ მოსწავლე ახალგარდობის სახლისათვის შეადგენს არაუმეტეს 30 ლარს, ხოლო (ა)აიპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისათვის თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი ოდენობებთ:
ა) მხატვრული კითხვა-არაუმეტეს 25 ლარისა;
ბ) საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-არაუმეტეს 30 ლარისა;
გ) გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება-არაუმეტეს 40 ლარისა;
დ) ქორეოგრაფიული სტუდია-არაუმეტეს 50 ლარისა;

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (06 02 06 02)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის მოზარდების ხელოვნების კონკრეტულ დარგებში განათლების დონის ამაღლება და ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავება. განხორციელდება ხელოვნების სკოლებში სწავლების ღირებულების ანაზღაურება, მათ მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 06 02	უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში	612.0	599.4	97.9%	

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (06 02 06 04)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მეტროთი და ავტოტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის, ასევე უფასო სასადილოების მომსახურების უკონტაქტო პლასტიკური ბარათების შესყიდვა, ინიციალიზაცია, ასევე ბენეფიციარებისათვის პლასტიკური ბარათების გაცემის სერვისცენტრის ფუნქციონირებისთვის საჭირო მასალების შესყიდვა, სერვისცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღურება და სხვა ღონისძიებები

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 06 04	სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)	206.3	110.8	53.7%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პლასტიკური ბარათების გაცემის სერვის-ცენტრში დასაქმებულ შტატგარეშე მოსამსახურეთა ხელფასების გაცემა საერთო

თანხით 57 795 ლარის ოდენობით. ანაზღაურებული იქნა სერვისცენტრის კომუნალური ხარჯები საერთო თანხით 4 238 ლარის ოდენობით, შესყიდულ იქნა პლასტიკური ბარათები საერთო ღირებულებით 13 110 ლარი, შესყიდულ იქნა პლასტიკური ბარათების საბეჭდი მოწყობილობის სახარჯი მასალები საერთო ღირებულებით 35 640 ლარი.

გაცემული იქნა 33 239 სამგზავრო ბარათი და 3 439 უფასო სასადილოს მომსახურების ბარათი.

ვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (06 02 08)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კვლევის თანახმად, შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე, ფულადი სამომხმარებლო ხარჯების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ასაკოვნებში ჯანმრელობის მდგომარეობის გაუარესების მომატებული რისკის გამო, ქ. თბილისში, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებს, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში, ექიმის დანიშნულების შესაბამისად დაუფინანსდებათ არაუმეტეს 500 ლარის ღირებულების მედიკამენტები. დაფინანსება განხორციელდება ვაუჩერული პრინციპით, არამატერიალური ფორმის ვაუჩერით.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 08	სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება	7 442.4	7 254.9	97.5%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშგებო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში თანხა გადარიცხული იქნა 45 877 შემთხვევის ასანაზღაურებლად. დაფინანსებული იქნა 17 498 პირი. ხარჯი შეადგენს 7 235 146 ლარს.

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 1 შტატგარეშე მოსამსახურის ხელფასის ანაზღაურება 19 740 ლარი.

სულ ხარჯმა შეადგინა 7 254 886 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (06 02 09)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქ. თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის, მათი ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სტაციონარული, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებისა და სხვა სოციალური სერვისების საჭიროების შემთხვევაში ფინანსური მხარდაჭერა

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 09	სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები	9 478.5	9 454.1	99.7%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის" თანახმად, ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ გადარიცხულია 9 454 074 ლარი. 1 539 746 ლარით დაფინანსდა 1415 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, 2 930 138 ლარით დაფინანსდა 1321 ბენეფიციარის ოპერაციული მკურნალობა, ხოლო 3 546 411 ლარით - 4 668 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ომის ვეტერანთა დახმარება (06 02 10)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) ფინანსური დახმარების გაწევა, მათი ღვაწლის დაფასების, თანადგომისა და მხარდაჭერის მიზნით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 10	ომის ვეტერანთა დახმარება	107.0	107.0	100%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში „ომის ვეტერანთა დახმარების" პროგრამის ფარგლებში, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისადმი (ქვრივები, შრომისუუნარო

წევრები) 9 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან“ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ქ.თბილისში რეგისტრირებული, შესაბამისი სტატუსის მქონე პირების თაობაზე.
მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გადარიცხულ იქნა შემდეგი თანხები: 1. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 37 ბენეფიციარს გადაერიცხა 2000-2000 ლარი, სულ 47 000 ლარი, 2. ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) სტატუსის მქონე 33 ბენეფიციარს 1000-1000 ლარი, სულ 33 000 ლარი.
სულ 70 ბენეფიციარისათვის გადარიცხული თანხა შეადგენ 107 000 ლარს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (06 02 13)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: ქალაქ თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება ვარკეთილი 3 მე-2 მ/რ-ში მდებარე 180-ე ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე არსებული დღის ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა. ცენტრი მის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს ქ. თბილისში მცხოვრები 145-მდე მარტოხელა ხანდაზმულისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო, გამოყენებითი და გასართობი პროგრამების განხორციელებას.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 13	მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა	3.5	1.7	48.8%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია ხანდაზმულთა დღის ცენტრის კომუნალური ხარჯები 1709,52 ლარით (ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი). კერძოდ, 1023,79 ლარი გადაირიცხა შპს „ვარკეთილაირში“, 183,36 შპს "თბილსერვის ჯგუფში", 344,45 ლარი შპს „თელმიკოში“, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ში 307,18 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (06 02 21)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

1. ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, თბილისში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც თავშესაფრის არქონის გამო უწევთ ქუჩაში ღამის გათევა. ამ მოქალაქეებისათვის პრობლემას წარმოადგენს, როგორც თავშესაფრის .არქონა, ისე ყოველდღიური საკვებისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის საჭირო მედიკამენტებისა თუ

სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო თანხის მოპოვება. ქვეპროგრამის მიზანია, აღნიშნული მოქალაქეების თავშესაფრით უზრუნველყოფა, მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, პირველადი სამედიცინო მომსახურებითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა და სხვა.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი"-თან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად განხორციელდება ქ. თბილისში, მიუსაფართა თავშესაფარში მცხოვრები ბენეფიციარების (რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის ან/და სხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი თავის მოვლას) განთავსება ჰოსპისში, მემორანდუმის მოქმედების განმავლობაში მათი მოვლა და სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა. ამავე ჰოსპისთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება თბილისის ტერიტორიაზე, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა და მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, რაც მოიცავს პირველადი სამედიცინო მომსახურებით, კვებით, პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას, ასევე გათვალისწინებულია მოვლა, სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა და საჭიროების შემთხვევაში სხვა სტრუქტურაში გადამისამართება. ასევე შემდგომშიც მემომორანდუმით განისაზღვრება ახალ ორგანიზაციებთან პარტნიორობა აღნიშნულ პროგრამაში.

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 21	მიუსაფარ პირთა თავშესაფრის მოვლა-პატრონობა	1 914.4	1 643.3	85.8%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში პალიატიური ზრუნვის ქვეპროგრამის ფარგლებში ხარჯები გაწეულია მემორანდუმით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი"- სთან 87 500 ლარის ოდენობით, ასევე, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრისათვის გათვალისწინებული ხარჯების ქვეპროგრამის ფარგლებში ხარჯები გაწეულია მემორანდუმით გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისი"- სთან 40 000 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ თბილისი მუნიციპალურ თავშესაფარის მიერ ხარჯები გაწეულია: 41 შტატით განსაზღრული თანამშრომლის ხელფასის ასანაზღაურებლად: 58877.70 ლარი. შტატგარეშე თანამშრომლის ხელფასი 18967.00 ლარი. ჯილდო 38703 ლარი.ფ/პ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (ავტოსადგომის მომსახურების ხარჯი) 150 ლარი. სსიპ; სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (ელექტრონული შტამპი) 650 ლარი. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული

სააგენტო (ქონების უზურფრუქტის უფლებით მომსახურების რეგისტრაციის ხარჯი) 3450.00 ლარი. ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა" (დასუფთავების მოსაკრებელი) 27.54 ლარი. ტენდერის გამოცხადების ხარჯი 100 ლარი. ი/მ გია ღვინტიძე (შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მოვლა/დასუფთავების ხარჯი) 550 ლარი. ი/მ იური ომარაშვილი (ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი) 20740.00 ლარი. ი/მ ნინო ზარიაშვილი (კარტრიჯების შეძენა და დატუმბვა და საკანცელარიო ხარჯი) 3389,20 ლარი. ი/მ საბა ახვლედიანი (საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები) 60 ლარი. ი/მ შმაგი ხვედელიძე (ტრანსპორტის დაქირავება გადაზიდვის ხარჯი) 1500.00 ლარი. ს/ს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (გენერატორის საწვავის შეძენის ხარჯი) 548.00 ლარი. სს გეფა (მედიკამენტის და სხვა სამკურნალო საშუალების შეძენის ხარჯი) 379.99 ლარი. ელექტრო ენერგიის ხარჯი 19134.58 ლარი. სს პსპ დაზღვევა (სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის ხარჯი) 877.07 ლარი. სს სილქნეტი 4429.52 ლარი. შ.პ.ს .,,ერთიგონი" (საბუღალტრო პროგრამა) 3540.00 ლარი. შ.პ.ს. "იუ-ჯი-თი" (კომპიუტერების და პრინტერების შეძენა) 35490.50 ლარი. შ.პ.ს. ,,რომპეტროლ საქართველო (საწვავის ხარჯი) 5327.10 ლარი. შ.პ.ს. ,,ტერა-კომი" (კომპიუტერული ქსელის მომსახურების ღირებულება) 7166.80 ლარი. შპს ,,ლიფტსერვისი" (ლიფტების ტექნიკური მომსახურების ხარჯი) 1200 ლარი. შპს ,,ქურთის საავადმყოფო" (სამედიცინო მომსახურების ხარჯი) 128680.00 ლარი. შპს "ახალი ქსელები" (ინტერნეტით სარგებლობის ხარჯი) 360.00 ლარი. ბუნებრივი აირის ხარჯი 72951.00 ლარი. შპს "თეგეტა მოტორსი" (ავტომანქანისათვის სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი) 80.00 ლარი. შპს "საქართველოს ფოსტა" (საფოსტო მომსახურების ხარჯი) 1150.10 ლარი. შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (წყლის ხარჯი) 56155.53 ლარი. შპს აია - 2010 (სამედიცინო დეზინფექცია - დერატიზაციის ხარჯ) 3600.00 ლარი. შპს ნირლუქსი (სკამების შეძენა) 2900.00 ლარი. შპს Bai Group (ოფისის ხარჯი) 105.00 ლარი. შპს ავტოჩეკ (ტექდათვარიელების ხარჯი) 60.00 ლარი. შპს არგო 2012 (შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი) 1517.50 ლარი. შპს ეიფოსი (სტაციონალური დიზელ - გენერატორის შეძენა) 33677.00 ლარი. შპს ვესტა (მცირეფასიანი ქაღალდის გამანადგურებელის შეძენა) 190.00 ლარი. შპს თეგეტა რითეილი (ავტომანქანის შეკეთება) 212.22 ლარი. შპს თერმო ცენტრი (შენობის გათბობის რადიატორების შეცვლა) 2660.00 ლარი. შპს ილი ჯგუფი (ბენეფიციართა კვების ხარჯი) 22221.70 ლარი. შპს ლუკა 2005 (ბენეფიციართა კვების ხარჯი) 291773.65 ლარი. შპს ნიკასი 2010 (შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი) 180.00 ლარი. შპს პენსან ჯორჯია (საწერ-სახაზავი ქაღალდის და ანალოგიური მასალების შეძენა) 1073.00 ლარი. შპს სტრადა მოტორსი (ავტომანქანის მიმდინარე რემონტის ხარჯი) 562.00 ლარი. შპს ქალდექსპე (აუდიტორიული მომსახურების ხარჯი) 150 ლარი. შპს ქორო (ავტომანქანის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები) 1360.00 ლარი. შპს ჯეობრეინ (სანიტარული საგნების შეძენის ხარჯ) 10500.00 ლარი. შპს ჯორჯიანაირლინკი (ინტერნეტით სარგებლობის ხარჯი) 1440.00 ლარი. შპს იაკობი (ოფისისათვის მცირეფასიანი სამეურნეო საქონლის შეძენა) 1088.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში:

საანგარიშო პერიოდში (2024 წლის იანვარი - სექტემბერი) სოციალური მუშაობის მხარდაჭერა განხორციელდა 444 ბენეფიციარის შემთხვევაში (ქალი - 173; კაცი - 271).

სოციალური მუშაკების მიერ მომზადდა 42 შემთხვევის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, გაიწერა ამდენივე ინდივიდუალური მომსახურების გეგმა, 115 შემთხვევა გადაისინჯა და დაისახა ახალი გეგმები.

ბენეფიციარებთან სულ განხორციელდა 1217 ინდივიდუალური შეხვედრა (ინდივიდუალური კონსულტირება - 369, ინდივიდუალური შეხვედრა შეფასების მიზნით - 147, კონსულტაცია - 701).

საორგანიზაციო ტიპის საქმიანობა - 513 ჯერ; ბენეფიციარების საჭიროებისამებრ ვიზიტი სხვადასხვა ორგანიზაციაში - 59 ჯერ

განხორციელდა 240 ჯგუფური შეხვედრა, 142 გეგმიური ,,ოთახის საათი", 98 დაუგეგმავი.

92 - ჯერ ჩატარდა სხვადასხვა ჯგუფური აქტივობა (ინტელექტუალური თამაში-რა, სად, როდის? ტურნირი ნარდში/ჭადრაკში/დომინოში, კინოკლუბი. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 435-მა ბენეფიციარმა.

ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში, მომსახურების მიღების მიზნით, სოციალურმა მუშაკებმა ბენეფიციარები საჭიროებისამებრ გადაამისამართეს სხვადასხვა ორგანიზაციაში (98 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდში ფსიქოლოგმა მომსახურება გაუწია სულ 70 ბენეფიციარს (ქალი - 43; კაცი - 27; მათ შორის ახალი ბენეფიციარი - 26); განხორციელებული ფსიქოლოგიური სესიების რაოდენობა: 201 (გეგმიური 130; დაუგეგმავი - 71).

ფსიქოლოგის მიერ განხორციელდა 37 ერთჯერადი, 10 პირველადი შეფასება და 14 შემთხვევის გადაფასება. შრომითი თერაპიის 82 შეხვედრა.

საანგარიშო პერიოდში ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში:

სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 189 ინდივიდუალური კონსულტაცია; 255 შეხვედრა ოჯახებთან; ბენეფიციარების საჭიროებისამებრ სხვადასხვა სერვისში გადამისამართების 78 შემთხვევა. ოჯახური კონფერენცია - 4.

საანგარიშო პერიოდში ფსიქოლოგმა მომსახურება გაუწია 115 ბენეფიციარს (ქალი 34, კაცი 7, არასრულწლოვანი 75). განხორციელდა 96 ინდივიდუალური ფსიქოლოგიური სესია (გეგმიური 79; დაუგეგმავი - 17). ფსიქოლოგის მიერ განხორციელდა არტერაპიის 19; ,,პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამის" 6 შეხვედრა.

ასევე, სპეციალისტების მიერ ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები (კინოკლუბი 7-ჯერ, ცოდნის სამყარო 14-ჯერ, ბავშვთა დაცვის დღე, მხიარული სტარტები. სულ, დაგეგმილ აქტივობებში ჩართული იყო 109 ბენეფიციარი.

საანგარიშო პერიოდში ორხევის სოციალურ საცხოვრისში:

სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 621 ინდივიდუალური .შეხვედრა, 356 შეხვედრა ოჯახებთან. ასევე, ბენეფიციარების საჭიროებისამებრ სხვადასხვა სერვისში გადამისამართების 182 შემთხვევა.

საანგარიშო პერიოდში ფსიქოლოგმა მომსახურება გაუწია ორხევის საცხოვრისში მცხოვრებ 20 ბენეფიციარს (ქალი 5, კაცი 5, არასრულწლოვანი 10). განხორციელდა 19 ინდივიდუალური ფსიქოლოგიური სესია (გეგმიური 16; დაუგეგმავი - 3); ოჯახური კონფერენცია - 6.

მიმდინარე პერიოდში ორხევის სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს ორხევის სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფის და მათი საცხოვრისიდან გადაყვანის მიზნით, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებასა და საცხოვრებელი ფართის მოძიების პროცესში დახმარება (ამ ეტაპზე ხელშეკრულება გააფორმა და გადავიდა 49 ოჯახი).

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე სოციალურ საცხოვრისებში: სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 260 ინდივიდუალური შეხვედრა, 759 შეხვედრა ოჯახებთან. ასევე, ბენეფიციარების საჭიროებისამებრ სხვადასხვა სერვისში გადამისამართების 412 შემთხვევა.
ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებისა და ფსიქოლოგის ჩართვის საჭიროების განსაზღვრის მიზნით, სოციალურ მუშაკებთან ერთად ფსიქოლოგის მიერ განხორციელდა ვიზიტები 96 ოჯახში. ინდივიდუალური ფსიქოლოგიური მუშაობის საჭიროება ამ ეტაპზე გამოიკვეთა 40 ბენეფიციართან (სრულწლოვანი 12; არასრულწლოვანი 28). საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური სამუშაოს წარმართვისთვის დაიგეგმა სრულყოფილი შეფასებისთვის საჭირო ინდივიდუალური სესიები თითოეულ ბენეფიციართან.

2024 წლის იანვარი - სექტემბრის განმავლობაში დასაქმებული იყო:

- თავშესაფრის 80 ბენეფიციარი (*ქალი 17; კაცი 63);* სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 43 - ს; პერიოდულად დასაქმებული - 37 ბენეფიციარს;
- ვარკეთილის სოციალური საცხოვრისის 60 ბენეფიციარი *(ქალი 25; მათ შორის 5 შშმ პირი; და კაცი - 35, მათ შორის 4 შშმ პირი);* სტაბილურად დასაქმებული იყო 45 ბენეფიციარი; ხოლო პერიოდულად - 15 ბენეფიციარი;
- ორხევის სოციალური საცხოვრისის 98 ბენეფიციარი *(ქალი 53, მათ შორის: 3 შშმ პირი და კაცი 42; მათ შორის 1 შშმ პირი; 3 არასრულწლოვანი);* სტაბილურად დასაქმებულ ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 73-ს; ხოლო პერიოდულად დასაქმებულთა რაოდენობა 25 ბენეფიციარს;
- დიდი დიღმის სოციალური საცხოვრისის 21 ბენეფიციარი *(ქალი 11; კაცი 10);* სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 15-ს; პერიოდულად დასაქმებული - 6 ბენეფიციარს;
- საცხოვრისები სხვადასხვა ლოკაციაზე: დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 105-ს *(ქალი 66; კაცი 37; 2არასრულწლოვანი);* სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 69; პერიოდულად დასაქმებული - 36 ბენეფიციარს;
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე - www.worknet.gov.ge სოციალური მუშაკების მიერ დარეგისტრირდა 7 ბენეფიციარი *(ქალი 3; კაცი 4)*;
- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, სოციალური მუშაკების მიერ ხდება ბენეფიციარებისთვის სხვადასხვა ვაკანსიის მოძიება და დამსაქმებლებთან კომუნიკაცია. ლილოს თავშესაფრის და ვარკეთილის სოციალური საცხოვრისის სოციალური მუშაკების მიერ სხვადასხვა ვაკანსია შეეთავაზა 19 ბენეფიციარს.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (06 02 22)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ ოჯახებში, 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მათი მატერიალური დახმარება

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 22	სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება	793.0	754.4	95.1%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან" მოწოდებული, ქ. თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის" მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2023 წლის დეკემბრის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 106 ბენეფიციარისათვის, მათ შორის 20 ბენეფიციარისათვის ასევე გაიცა 2023 წლის მაისის კუთვნილი 400 ლარიც. სულ ხარჯმა შეადგინა 42 400 ლარი.

1 780 ბენეფიციარისათვის გაიცა 2024 წლის მაისის კუთვნილი 400 ლარი, 712 000 ლარის ოდენობით.

სულ ხარჯმა შეადგინა 754 400 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ,,ვორლდ ვიჟენის" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება (06 02 23)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: პროგრამა მოიაზრებს ბავშვთა მიტოვების პრევენციისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სოციალურად დაუცველი მშობლებისა და მათი ოჯახების გაძლიერებისაკენ მიმართული დამხმარე სერვისების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, ქ. თბილისში გლდანის რაიონში მდებარე 107–ე ბაღის ტერიტორიაზე არსებული დღის ცენტრის ფუნქციონირების თანადაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაცია ,,ვოლდ ვიჟენთან" ერთად. დღის ცენტრი ერთდროულად გათვლილია მაქსიმუმ 25 სოციალურად დაუცველ 6 თვიდან 30 თვემდე ასაკის ბავშვზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი მშობლებისათვის საინფორმაციო–საკონსულტაციო მომსახურება, რომელიც მიზნად ისახავს მათი ცნობიერების ამაღლებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კუთხით. ცენტრში ბენეფიციარების ჩარიცხვა ხორციელდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

ათას

ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 23	,,ვორლდ ვიჟენის" სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება	55.7	55.6	99.9 %	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ,,ვორლდ ვიჟენ საქართველოს ფონდს" საანგარიშო პერიოდში (იანვრიდან და ივლისის თვის ჩათვლით) აუნაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ყოველთვიურად - 7 260 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოს თვეში აუნაზღაურდათ 4 810 ლარი.

პროგრამა გულისხმობს, 08.01.2024 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, №107-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ჩარიცხულ ბავშვზე ზრუნვას.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (06 02 24)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მათი მატერიალური დახმარება

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 24	სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება	385.1	348.0	90.4%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ მოწოდებული, ქ. თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2023 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება. ქვეპროგრამით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბენეფიციარი წლიურად იღებს 900 ლარის ფულად დახმარებას სამ ეტაპად, 300 ლარის ოდენობით თითოეულ ეტაპზე. მომსახურე ბანკიდან ბენეფიციართათვის გახსნილი ანგარიშების შესახებ ინფირმაცის მიღების შემდეგ, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 7 ბენეფიციარი. მათ შორის 1 პირისათვის გაიცა სამი თვის კუთვნილი თანხა თვეში 300 ლარის ოდენობით, 3 პირისათვის გაიცა ორი თვის კუთვნილი თანხა თვეში 300 ლარის ოდენობით, ხოლო 3 პირისთვის კი ერთი თვის კუთვნილი თანხა. სულ ხარჯმა შეადგინა 3 600 ლარი.
581 ბენეფიციარისათვის გაიცა 2024 წლის მაისის კუთვნილი 300 ლარი, 174 300 ლარის ოდენობით. 567 ბენეფიციარისათვის გაიცა 2024 წლის აგვისტოს კუთვნილი 300 ლარი, 170 100 ლარის ოდენობით.

სულ ხარჯმა შეადგინა 348 000 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (06 02 25)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: "სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 100 000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტირებული ოჯახებისათვის, ახალშობილის შეძენისას მატერიალური დახმარების გაწევით მათი ფინანსური მდგომარეობის მხარდაჭერა, დემოგრაფიულ პროცესებში ბუნებრივი ნამატის პრიორიტეტულობის ნიშნით სიტუაციის გამოსწორება

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 25	სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება	452.5	438.9	97.0%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება გაეწია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტოს სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ

582 ოჯახს (600 ბავშვს), რომელთაც შეეძინათ ახალშობილი, მათ შორის: პირველი ან მეორე შვილისათვის 500 ლარის ოდენობით 302 ბავშვზე; მე-3 შვილის შეძენისათვის 800 ლარის ოდენობით 155 ბავშვზე; მე-4 შვილის შეძენისთვის 1000 ლარის ოდენობით 82 ბავშვზე, ხოლო მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის, 1500 ლარის ოდენობით 53 ბავშვზე. ამასთან, 300 ლარი ჩაირიცხა მესამე ბავშვის შეძენისთვის 8 ბავშვის შემთხვევაში.[1]

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შინმოვლის თანადაფინანსება (06 02 26)

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: უძლური ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ტერმინალურ მდგომარეობასა და ხანგრძლივად ან დროებით უძლურებაში მყოფი პირების ჯანმრთელობაზე ზრუნვა (პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა, მონიტორინგი), მათი დამოუკიდებლობის და დაკარგული უნარ–ჩვევების შენარჩუნება/აღდგენა, რესურსებისა და უნარების გამოვლენა და ფსიქო–სოციალურ დახმარება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს წარმოადგენენ. ქვეპროგრამა გულისხმობს საჭიროების მქონე პირთა გამოვლენას ბართელის ინდექსის შესაბამისად, ასევე ბენეფიციართა პერსონალურ მოვლას, საექიმო და საექთნო მომსახურებას, დახმარებას ყოველდღიურ საქმიანობაში (საყიდლები, ბინის დალაგება, ჭურჭლის და სარეცხის გარეცხვა, საკვების მომზადება), სოციალურ-ტექნიკურ დახმარებას, მოვლისათვის საჭირო მასალებით უზრუნველყოფას. პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს ქ.თბილისში, ,;სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს ბართელის უძლურების ინდექსი არაუმეტეს 95-სა. ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს მოსარგებლეთა და მათი ახლობლების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება კვალიფიციური მომსახურების მიწოდების გზით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 26	შინმოვლის თანადაფინანსება	303.7	260.6	85.8%.	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა: საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში" 200 000 და ქვევით სარეიტონგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება-შინმოვლა. საანგარიშო პერიოდში მომსახურების მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში (იანვრიდან და სექტემბრის თვის ჩათვლით) თვისანაზღაურდა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ

ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 24 098.15 ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 94 745.58 ერთად მოყვასისათვის - 63 736.34 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 71 567.21 აგრეთვე ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 6 408 ლარი.

ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (06 02 28)
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სხვადასხვა საჭიროებებისა და აქტივობების ხელშეწყობის უზრუნველყოფა. კერძოდ: შშმ პირებში კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; · შშმ პირთა განათლებისა და შემეცნებითი აქტივობების ხელშეწყობა; შშმ პირების სხვა საჭიროებებით უზრუნველყოფა; ქვეპროგრამის მიზანია: შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
06 02 28	შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	774.4	610.8	78.9%.	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა:

საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია: 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - 4 239,8 ლარი; ა(ა)იპ კავშირი ია - 5 021,8 ლარი; ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 7 089,0 ლარი; ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 7 748,6 ლარი; ა(ა)იპ ასოციაცია იკა-21 – 1 125,4 ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - 6 120,0 ლარი; ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - 8 683,6 ლარი; ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 5 151,0 ლარი; ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - 6 779,6 ლარი; ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ - 20 461,2 ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 1 353,2 ლარი; ა(ა)იპ მშობლების თანადგომა - 2 611,2 ლარი;
ჯამში 12 დღის ცენტრი დაფინანსდა 76 384,4 ლარით

საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია:

1. ა(ა)იპ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 16 000 ლარი;

2. ა(ა)იპ ასოციაცია იკა- 21 – 8 750ლარი;
3. ა(ა)იპ „ხელი ხელს“- 51 600 ლარი;
4. ა(ა)იპ „ახალი ნაბიჯები“- 16 000 ლარი;
5. ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 19 129,25 ლარი;
6. ა(ა)იპ კავშირი ია - 6 750 ლარი;
7. ა(ა)იპ კოალიცია მოძრაობა ცვლილებებისთვის - 21 150 ლარი;

საგარანტიო შესრულებები - სხვადასხვა საჭიროებების დაფინანსება - 216 665,23 ლარი;

სულ ჯამში: 610 763.13 ლარი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დაცვის პროგრამების 2024 წლის 9 თვის ანგარიში კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე